1 სექტემბერი

კვირა 2024

რიგითი XXII კვირადღე, «ბ», [II], მწ

რჯლ 4,1-2.6-8; ფს 14; იაკ 1,17-18.21-22.27; მარ 7,1-8.14-15.21-23

ქმნილების დღე

რაც ადამიანისგან გამოდის, ის ბილწავს მას მარ 7,15

იესო, შენი სიბრძნე ანათებს ჩემს გულს. ზოგჯერ ისეთი „რამეები“ იჩენს თავს, რაც არაბუნებრივია ღვთის შვილისათვის. ისინი არასათნოდ მოსჩანან მის თვალში და საძულველად - კაცთა წინაშე. უწმიდურება, სიხარბე, ცბიერება, შური და ამპარტავნება, - ეს ყველაფერი აზიანებს და ანგრევს მეგობრობას და ოჯახებს.

2 სექტემბერი

ორშაბათი
2024

1კორ 2,1-5; ფს 118; ლკ 4,16-30

მო-მავლინა ტყვეთა სახარებად ლკ 4,18

წმინდა წერილში, რასაც იესო სინაგოგაში ისმენდა და კითხულობდა, მამის ნებას აღმოაჩენს ანუ მისთვის განსაზღვრული მისიის გაცხადებას.
მეც ასევე აღმოვაჩენ ეკლესიის მიერ მოწოდებულ სიტყვაში მამის სიყვარულის ნიშნებს, იგი წინ მიმიძღვის, ისევე როგორც მისი ძე - იესო და მიმავლენს, რათა თავად ვიყო მისი სიყვარულის კეთილი უწყება.

3 სექტემბერი

რიგითი ჟამის XXII კვირა [II], მწ

სამშაბათი 2024

წმ. გრიგოლ დიდი, პაპი, ეკლესიის მოძღვარი, +604 (12 მარტს) რომში, (მ), თ;

(21.VIII) წმ. სარმეან კათ., +779;

წმ. ღ. თადეოზ (თათე) სტეფანწმიდელი, მონაზ., VIს

1კორ 2,10-16; ფს 144; ლკ 4,31-37

ხელმწიფებით იქო მისი სიტყვა ლკ 4,32

იესოს სიტყვას ავტორიტეტი გააჩნია, რამეთუ ერთია მისი საქმე და სიტყვა. ასეთივე ავტორიტეტი აქვთ მშობლებს თავიანთ შვილებზე, როდესაც იესოს მორჩილებაში დგანან. მეც, შენც... როდესაც უფლის მორჩილები ვართ, სანდონი და სარწმუნონი ვართ.

4 სექტემბერი

ოთხშაბათი:
2024

1კორ 3,1-9; ფს 32; ლკ 4,38-44

წამოდგა და ემსახურებოდა მათ ლკ 4,39

იესომ მართლაც განკურნა პეტრეს სიდედრი, იგი მხოლოდ განკურნებული როდი წამოდგა საწოლიდან, არამედ სიხარულით აღვსებული იესოსა და მისი მოწაფეების მსახურებით: და შევიდა ჭეშმარიტ ცხოვრებაში - მამის ცხოვრებაში, რომელიც თავშეწირვაა!

5 სექტემბერი

ხუთშაბათი
2024

რიგითი ჟამის XXII კვირა [II], მწ

წმ. დედა ტერეზა კალკუტელი, მოწყალების მისიონერ დედათა კონგრეგაციის დამაარსებელი +1997 კალ-კუტაში (ინდოეთი)

1კორ 3,18-23; ფს 23; ლკ 5,1-11

ამიერიდან ადამიანთა მებადური იქნები ლკ 5,10

როდესაც თავმდაბლად ვდგავართ იესოს წინაშე, როგორც პეტრეს იდგა ტბაზე მოულოდნელი თევზაობის შემდეგ, უფალი ახალ ღირსებას შესძენს ჩვენს ცხოვრებას: უიმედოთ შთენილი ადამიანებიდან თავის თანაშემწეებად გვაქცევს. მასთან ერთად შევძლებთ დავიხსნათ ადამიანები დამღუპველი გზიდან, რათა ღვთის სიცოცხლეს ეზიარნონ.

6 სექტემბერი

პარასკევი
2024

1კორ 4,1-5; ფს 36; ლკ 5,33-39

ახალი ღვინო ახალ ტიკიებში უნდა ჩაისხას ლკ 5,38

ვინ იცის, ალბათ, ჩემი სარწმუნოებრივი ცხოვრება ძველი ტიკია... როცა სიხარულს მოისაკლისებს, სავარაუდოდ, ამით მიანიშნებს, რომ ნეფისთვის ადგილი არ არის. მადლობა იესო, რამეთუ მეხმარები რომ შევიცვალო, ახალი არჩევანი გავაკეთო და ახალი ჩვევები შევიძინო, რათა მუდამ არსებობდე ჩემს ცხოვრებაში და მავსებდე ახალი ღვინით, რასაც წარმოადგენს შენი წმიდა სული სიყვარულის, სიხარულის, მშვიდობის...

7 სექტემბერი

შაბათი
2024

1კორ 4,6-15; ფს 144; ლკ 6,1-5

კაცის ძეა შაბათის უფალი ლკ 6,5

შაბათის დასვენება იმ მიზანზე აღმატებული
გახდა, რისთვისაც ღმერთმა იგი დააწესა:
ადამიანის სიხარული. მოწაფეები, ახალ
თავისუფლებას განიცდიან იესოს მოსმე-
ნით. არა ისეთს, რაც ღმერთის შეგონებათა
ამპარტავნულ დარღვევას ნიშნავს, არამედ
თავისუფლებას, რომლის წყალობით მუდამ
გვეყვარება ადამიანი და მამის სამარადჟამო
სიყვარულს ვიგრძნობთ.
იესო, აწ შენი სიტყვაა ჭეშმარიტი რჯული!

ეს 35,4-7; ფს 145; იაკ 2,1-5; მარ 7,31-37

ვალეს კათოლიკური ეკლესიის დღეობა;
ბათუმის დიდი კათოლიკური ეკლესიის დღეობა.

უბრძანა მათ, არავისთვის ეთქვათ მარ 7,36

განა იესოს არ ჭირდება, რომ სხვებს ვუამ-
ბოთ ჩვენში ან ჩვენს გარშემო აღსრულებულ
მის საქმეებზე? ამის გაკეთებას, ზოგჯერ, ვინ-
მეს მოწვევით ითხოვს ჩვენგან. ეს რწმენაში
აძლიერებს ჩვენს მოძმეებს, თუმცა მხოლოდ
ასე ვერ დავამოწმებთ იესოს: მოწმეობის
ყველაზე სარწმუნო გზა ღმრთის შესაწი-
რავთან შერთვაა. ჩვენი ცხოვრება იტყვის
ყველაფერს.

9 სექტემბერი

ორშაბათი
2024

რიგითი ჟამის XXIII კვირა [III], მწ

წმ. პეტრე კლავერი, ხუცესი, ესპანელი იეზუიტი, შავკანიან მონათა მოციქული, +1654 კოლუმბიის კართაგენში

1კორ 5,1-8; ფს 5; ლკ 6,6-11

ეაიწო-დე ხელი ლკ 6,10

იესო არ ეპუება თავის მტრებს, რომლებიც შაბათ დღეს ავადმყოფზე ზრუნვას უკრძალავენ. განკურნება რომ კაცის საქმე ყოფილიყო, თავადაც შეეძლოთ და მართებდათ მისი გაკეთება სხვა დღეებში, და თუ ახლა იესო აკეთებს, ეს იმიტომ, რომ მამის სიყვარულის ძალა მოქმედებს მასთან ერთად.
განა ვინმეს ძალუძს მას წინ აღუდგეს?

10 სექტემბერი

სამშაბათი 2024

რიგითი ჟამის XXIII კვირა [III]

(28.VIII) წმ. შუშანიკი, მოწამე, +475, (მ), წ

1კორ 6,1-11; ფს 149; ლკ 6,12-19

იესომ მთელი ღამე
ღვთისადმი ლოცვაში ატარა ლკ 6,12

იესო მთელ ღამეს ლოცვაში ატარებს, ხოლო დილით მოწაფეებიდან თორმეტ მოციქულს ირჩევს. ეს მნიშვნელოვანი არჩევანია, რამეთუ მომავალში სწორედ მათ ქადაგებასა და მოწმობაზე აიგება ეკლესია, რომელიც ადამიანებს ღვთის ახალ ერად აერთიანებს. ღამე მხურვალე და ნაყოფიერი ლოცვის ჟამია!

11 სექტემბერი

ოთხშაბათი:
2024

რიგითი ჟამის XXIII კვირა [III], მწ

1კორ 7,25-31; ფს 44; ლკ 6,20-26

ნეტარ ხართ თქვენ, ღარიბნო ლკ 6,20

ვინ არიან ეს გლახაკი ნეტარნი? ვისაც აკმაყოფილებს თავისი სარჩო-საბადებელი და არ შურს თავისზე მდიდრის. ვისაც დღევანდელი და ხვალინდელი დღის იმედად ზეციერი მამა ჰყავს, ვინც ყოველი კაცის გასაჭირი უწყის. ვინც სიდუხჭირეში მყოფი, გმობის ნაცვლად, ძვირფას წყალობად მიიჩნევს უფალს და თანაგრძნობით უყურებს მაწყევრებს. მისი თავისუფალი და მშვიდი გული, ცათა სასუფევლის წყალობას გამოცდის.

12 სექტემბერი

ხუთშაბათი
2024

მარიამის წმიდა სახელი

1კორ 8,1-7.11-13; ფს 138; ლკ 6, 27-38

სიკეთე აკეთეთ და ნურაფერს მოელით ლკ 6,35

ამ გზით, მამასთან ვერთიანდებით, მისი ჭეშმარიტი შვილები ვხდებით: ის ნამდვილი, უანგარო სიყვარულია. მამის გულში დამკვიდრებულნი ნეტარებას ვეზიარებით, თუნდაც ბევრ სიკეთეს და საჭიროებას მოვისაკლისებდეთ. შეგვეწევა, რათა ჩვენს გულებში და ბაგეებზე შევინარჩუნოთ მარიამის, ჩვენი დედისა და შუამდგომლის წმიდა სახელი.

13 სექტემბერი

პარასკევი
2024

რიგითი ჟამის XXIII კვირა [III]

წმ. იოანე ოქროპირი, კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსი, ეკლესიის მოძღვარი, +407, (მ), თ

1კორ 9,16-19.22-27; ფს 83; ლკ 6,39-42

მოწაფე მოძღვარზე მეტი არაა... ლკ 6,40

მადლობა, იესო, ჩვენო ერთადერთო მოძღვარო! შენა ხარ ღირსი მიბაძვისა და მიმდევრობისა, რამეთუ უტყუარი მეგზური და ჭეშმარიტი ნათელი ხარ. ვეცდები შენგან ვისწავლო თავმდაბლობა და სიყვარული ყოველი კაცის მიმართ. მუდამ შენ მოგაპყრობ ჩემს მზერას!

14 სექტემბერი

შაბათი
2024

ჯვართამაღლება, დ, [ს], წ

რიცხ 21,4-9, ან ფილიპ 2,6-11; ფს 77; იო 3,13-17

უნწის საკრებულოს დღეობა

ეგვერასა, ვინცა მას იორმუნებს,
საუკუნო სიცოცხლე ჰქონდეს[იო 3,15]

იესო, ჯვარზე გაკრულს გიხსენებთ დღევანდელ დღესასწაულზე: სისხლში ამოსვრილს, მომაკვდავს, მიტოვებულს... მე მჯერა შენი, რამეთუ შენს ტანჯვას და სიკვდილს სიყვარულის საქმეში გარდასახავ ჩვენთვის- ცოდვილთათვის. ასე იქცა შენი ჯვარი სიცოცხლის ხედ. შენზე დაეყრდნობა ჩემი ცხოვრება, ცოდვას განრიდებული ღვთის მარადიულ სიყვარულში ვრჩები.

15 სექტემბერი

 კვირა 2024

რიგითი XXIV კვირადღე, «ბ», [IV], მწ

[მგლოვიარე ნეტ. ქალწ. მარიამი (მ), [ს], თ]

ეს 50,5-9; ფს 114; იაკ 2,14-18; მარ 8,27-35

არალში შუა ფარეხის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

თქვენ კი რას იტყვით, ვინა ვარ მე? მარ 8,29

იესო, შენა ხარ ქრისტე, ვინც სხვებს უხმოდ, უდრტვინველად დართე ნება შენი შეურაცხყოფის, გაშოლტვისა და ჯვარცმისა. შენ მკვდრეთით აღმდგარი ქრისტე ხარ, რათა მეც შემეძლოს შენი აღმდგარი ცხოვრების გაზიარება. გამოგყვები დაშენთან ერთად შევწირავ თავს ზეციერ მამას.

16 სექტემბერი

ორშაბათი
2024

რიგითი ჟამის XXIV კვირა [IV]

წმ. კორნელიუსი, პაპი, წამებული +253 ჩივიტავეკიაში, და წმ. კვიპრიანე კართაგენის ეპისკოპოსი, წამებული, +258, (მ), წ

1კორ 11,17-26; ფს 39; ლკ 7,1-10

მ. მიხეილ თამარაშვილის გახსენება (+1911)

იესო მათთან ერთად დაადგა გზას ლკ 7,6

იესო გზას მიუყვება რამდენიმე ებრაელ წინამძღოლთან ერთად, რომლებიც მას ასისთავთან წასვლას და მისი მსახურის განკურნებას სთხოვენ. ასისთავი მათ სინაგოგის აგებაში დაეხმარა. მისი მოქმედება კი არ „იმსახურებს“ განკურნებას, არამედ მისი ღრმა და მდაბალი რწმენა იესოს სიტყვისადმი. იესოს სურს ასეთივე რწმენა იხილოს ამ წინამძღოლებშიც... და ჩემშიც.

17 სექტემბერი

სამშაბათი
2024

რიგითი ჟამის XXIV კვირა [IV], მწ

წმ. რობერტ ბელარმინო, ეპისკოპოსი და კარდინალი, იეზუიტი, ეკლესიის მოძღვარი, +1621 რომში
წმ. ჰილდეგარდ ბინგენელი, ქალწული და ეკლესიის მოძღვარი, +1179

1კორ 12,12-14.27-31; ფს 99; ლკ 7,11-17

ყველა აღიდებდა ღმერთს

ლკ 7,16

იესო მკვდარ ბიჭს მიუბრუნდა და უთხრა:
„ადექი“. ისიც დგება და ლაპარაკს იწყებს:
რა სასწაულია! ყველა იქ მყოფი აღიარებს,
რომ ამაში ღვთის ხელი ურევია, შესაბამისად,
ღმერთი თავად იესოში იმყოფება!
იესო, შენა ხარ ღმერთის დიდება!

18 სექტემბერი

ოთხშაბათი:
2024

1კორ 12,31–13,13; ფს 32; ლკ 7,31–35

სიბრძნე ეამართლდა ყოველა მისი შვილით ლკ 7,35

იოანე ნათლისმცემლის გარჯა და იესოს სიყვარული აღიარებულია უპოვარი, უბრალო და თავმდაბალი ადამიანების მხრიდან, თუნდაც ისინი ცოდვილები იყვნენ! თუ ხელისუფლება არ აღიარებს ღმრთისაგან წარმოგზავნილად – არც იოანეს და არც იესოს, ეს იმის ნიშანია, რომ ვერ მოუსმენენ და არც მართებთ მისი მოსმენა.

19 სექტემბერი

ხუთშაბათი
2024

რიგითი ჟამის XXIV კვირა [IV], მწ

წმ. იანუარიუსი, ბენევენტოს ეპისკოპოსი, წამებული, +304

1კორ 15,1-11; ფს 117; ლკ 7,36-50

შენმა რწმენამ გიხსნა შენ ლკ 7,50

ცოდვილმა დედაკაცმა, ვისაც იესო მიმართა-
ვს ამ სიტყვებით, მის ფერხთით ყოფნით,
ტირილით, ამბორით და სურნელის ცხებით
აჩვენა თავისი თაყვანისცემა. იესოსგან
მხოლოდ იმ ნაბიჯს ელოდა, რასაც ღმერთი
ინებებდა: პატიება და მშვიდობა!
იესო, დღეს მეც მოვდივარ შენთან სიყვა-
რულითა და თაყვანისცემით სავსე გულით,
მდაბალი და გაბედული რწმენით.

20 სექტემბერი

პარასკევი
2024

რიგითი ჟამის XXIV კვირა [IV]

წმ. ანდრეა კიმ ტაე-გონი, ხუცესი, წმ. პავლე ჩონგ ჰა-სანგი და მათი მეგობრები, კორეაში წამებულნი +1839-1864წწ, (მ), წ

1კორ 15,12-20; ფს 16; ლკ 8,1-3

ქრისტე აღდგა მკვდრეთით 1კორ 15,20

პავლე მოციქული მტკიცედ და დარწმუნებით აცხადებს, რომ იესო მკვდრეთით აღდგა. თავადაც შეხვდა და საკუთარი ყურით მოუსმინა დამასკოს გზაზე. აღმდგარი იესო კვლავაც გვიცხადებს თავს, როდესაც რწმენითა და სიყვარულით ვცდილობთ მისი სიტყვის მიღებას. მადლობა, იესო, რამეთუ არსებობ, აწ და მარადის!

21 სექტემბერი

შაბათი 2024

წმ. მათე, მოციქული და მახარებელი, დ, [ს], წ

ეფ 4,1-7.11-13; ფს 18; მთ 9,9-13

ქამო-მქევი

მთ 9,9

მადლობა, იესო, იმ მოსიყვარულე მზერის გამო, რაც მათეს მიაპყარი. იგივე მზერით მიცქერდი მეც და ვერ გავუძელი. მადლობა იმ ძღვენისთვის, რომ შევიცანი შენი სიყვარული და ვცდილობ გიპასუხო. რთული იყო მიმეღო შენი მოხმობა და ყველაფერი მიმეტოვებინა, მაგრამ ახლა ბედნიერი ვარ. მადლობა, რამეთუ შენ ყველაფერს მოიმოქმედებ მისთვის, ვინც შენს გამო ყველაფერს ტოვებს.

22 სექტემბერი

კვირა

2024

რიგითი XXV კვირადღე, «ბ», [I], მწ

სიბრძ 2,12.17-20; ფს 53; იაკ 3,16-4,3; მარ 9,30-37

ვინც მე მიებულობს,
ჩემს მომავლინებელს ეებულობს მარ 9,37

გასული კვირის მსგავსად, იესო გვიმეორებს მისი სიკვდილისა და აღდგომის უწყებას, ცდილობს შეცვალოს ჩვენი ფიქრები. როგორ მიგიღებ შენ, იესო და როგორ მივიღებ ღმერთს ჩემს ცხოვრებაში? მდაბალთა მიღებით, ვინც ასე გიყვარს, ვისთვისაც სიცოცხლე გასწირე. მივიღებ და ვიზრუნებ შენს ღატაკებზე, როგორც პირადად, ასევე სხვა ორგანიზმებთან კავშირში, რომლებიც ამ მიზნით აღმოცენდნენ შენს ეკლესიაში.

23 სექტემბერი

ორშაბათი

2024

წმ. პიო პიეტრელჩინელი, ხუცესი, კაპუცინი, +1968, (მ), თ

იგავ 3,27-34; ფს 14; ლკ 8,16-18

ვისაც აქვს, მიეცემა ლკ 8,18

იესო გვეუბნება, რომ მისი სიტყვის გათავი-
სებით, სინათლეს და მშვიდობას მივუტანთ
ყველა შემხვედრს, ხოლო მისგან მივიღებთ
სხვა სულიერ საბოძვარს და მის სიყვარულს
ყოველი კაცის სასიკეთოდ. რა მშვენიერია!

24 სექტემბერი

სამშაბათი
2024

რიგითი ჟამის XXV კვირა [I], მწ

იგავ 21,1-6.10-13; ფს 118; ლკ 8,19-21

ესენი არიან ჩემი ძმები... ლკ 8,21

გვიჭირს ამის დაჯერება... მაგრამ შენც, მეც, ყველანი ძმები ვართ იესოს თვალში, როდესაც მის სიტყვას ვიღებთ და ცხოვრებაში ვასრულებთ: ასე ვრჩებით მასთან სრულ ზიარებაში, მის აზრებს და გრძნობებს ვიზიარებთ. იესო, შენ განიზრახე, რომ წუთისოფელში უბედნიერესი ადამიანი ვყოფილიყავი. მადლობა!

25 სექტემბერი

ოთხშაბათი:
2024

იგავ 30,5-9; ფს 118; ლკ 9,1-6

ქმაში არაფერი წაიღოთ ლკ 9,3

იესო რადიკალურ მითითებებს იძლევა, რომ თავისი მიმდევრები მამის ხელებს ჩაბარდნენ. მისი ნდობა მთავარია მოციქულებისთვის, რომლებიც სახარებლად არიან წარგზავნილნი, რათა სიტყვებით და ნიშნებით განაცხადონ მისი სიყვარული. ეს ნდობა სძენს მათ თავისუფალ გულს და სულიწმიდის მორჩილებად აქცევს, რომელიც თავისი ძალით შეეცდება დაიხსნას, განკურნოს და ახალი სიცოცხლე უბოძოს, ღვთის შვილთა სიცოცხლე.

26 სექტემბერი

ხუთშაბათი
2024

რიგითი ჟამის XXV კვირა [I]

წმ. დიდმოწამე ქეთევანი, წამ., +1624 (მ) წ;
წმმ. კოზმა და დამიანე, წამებულნი, +IVს;

ეკლ 1,2-11; ფს 89; ლკ 9,7-9

ყო-ველივე ამაო-ებაა ეკლ 1,2

ყველა მიწიერი რეალობა, ამქვეყნიური საგნები, დასრულებისთვის არის განწირული. ჩვენი სიცოცხლეც დასრულდება ამ დედა-მიწაზე, მაგრამ არა ღვთის გულში! უფრო მეტიც, უკვე მისი ყოფნა და მისი სიყვარული გრძნობითა და მარადისობით ავსებს ყოველ წამს, ყოველ საქმეს, ჭირსა თუ ლხინს. ყვე-ლაფერი სახეშეცვლილია! მის გარეშე ამაო-ებაა, ყველაფერი ამაო და ფუჭია.

27 სექტემბერი

პარასკევი
2024

რიგითი ჟამის XXV კვირა [I]

წმ. ბიკენტი დე პოლი, ხუცესი, მისიის მღვდელთა (ლაზარისტების) დამაარსებელი, +1660 პარიზში, (მ), თ

ეკლ 3,1-11; ფს 143; ლკ 9,18-22

კაცის ძემ ბევრი უნდა იტანჯოს ლკ 9,22

იესოს მოწაფეებისთვის ეს იყო ახალი დ ძნელად მისაღები ჭეშმარიტება: იესო არ იყო მეფე-მესია, რომელიც შეებრძოლებოდა, გაიმარჯვებდა, გაბატონდებოდა და დაიმონებდა. ჯერ კიდევ გვიჭირს ამის მიღება ჩვენ, რომლებიც იესოს ცხოვრებას სახარებიდან ვიცნობთ: არ ძალგვიძს ვიცხოვროთ ისე, როგორც იესო ცხოვრობდა, მოყვასთა სიყვარულით და მათ მიმართ მდაბალი და ერთგული მსახურებით.

28 სექტემბერი

შაბათი
2024

რიგითი ჟამის XXV კვირა [I], მწ

(15.IX) წმ. აბბა იოსებ ალავერდელი, აბატი და ეპ., +570;
წმ. ვიჩესლავი, ბოჰემიის დუკა, წამებული, +929 ან 935;
წმმ. ლავრენტი რუის და მისი მეგობრები, წამებულნი ნაგასაკიში (იაპონია), +1633–1637წწ

ეკლ 11,9 – 12,8; ფს 89; ლკ 9,43-45

ეახსოვდეს შენი შემოქმედი ეკლ 12,1

ეს ახალგაზრდებზე ნათქვამი ღვთის სიტყვაა, მას მერე, რაც მათ მოუხმო ყოფილიყვნენ მხიარულნი და გაჰყოლოდნენ გულის კეთილ ზრახვებს. არ დავივიწყებთ, რომ ღმერთი ყველას განიკითხავს. ის ჩვენი შემოქმედი და ჩვენი მამა, ჭეშმარიტი სიყვარულისა და მშვიდობის წყაროა.

29 სექტემბერი

კვირა 2024

რიგითი XXVI კვირადღე, «ბ», [II], მწ

[წმმ. მიქაელ, გაბრიელ და რაფაელ მთავარანგელოზნი, დ, [ს], თ]
[(16.IX) წმ. ისააკი და იოსებ, კარნუ-ქალაქში წამებულნი, +808]

რიცხ 11,25-29; ფს 18; იაკ 5,1-6; მარ 9,38-43.45.47-48

ვინცა ერთ ჭიქა წყალს მოგაწვდით რემი სახელით... მარ 9,41

ამ სიტყვებით იესო აცხადებს, რაოდენ უყვარს თავისიანები. ისინი, ვინც მათ მიმართ გულუხვობას გამოიჩენს, თუნდაც ერთი ჭიქა წყლით, „ჭეშმარიტად“ თავის ჯილდოს მიიღებს. მადლობა, იესო, მათთვის, ვინც მატერიალურ და სულიერ მხარდაჭერას უწევს მათ, ვინც შენს სამეფოში მსახურობს. მადლობა, შენი სიხარულისა და შენი კურთხევის საზღაურისთვის.

30 სექტემბერი

ორშაბათი
2024

რიგითი ჟამის XXVI კვირა [II]

წმ. იერონიმე, ხუცესი, ეკლესიის მოძღვარი, +420 ბეთლემში, (მ), თ

იობ 1,6-22; ფს 16; ლკ 9,46-50

კურთხეულ იყოს უფლის სახელი

იობ 121

ტანჯვაში გამოწრთობილი იობი აკურთხებს ღმერთს, მარადიულ მამას. მეც ასე უნდა მოვიქცე. იმ წუთებში ძნელია აკურთხო ღმერთი, მაგრამ ვიცი, რომ მამამ სამუდამოდ შემიყვარა, თუნდაც არ მესმოდეს. მასზე დაიმედებული, ყოველთვის მოვიპოვებ მშვიდობას და სიმშვიდეს.